ბიზნესისა და ტექნოლოგიების კონკურსი „სამეცნიერო პრემია - ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაცია“

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (ბტუ) კონკურსის „სამეცნიერო პრემია - ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაცია“ მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერების, მოღვაწეობის წახალისება მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით, პერსონალის მოტივაციის ამაღლება სამეცნიერო კარიერის განვითარებისათვის და ბტუ-ს პრიორიტეტული დარგების განვითარების პოპულარიზაცია.

§1. კონკურსის პრემიის კატეგორიები და პრემიის გაცემის წესი

1.1. ბტუ-ს კონკურსის „სამეცნიერო პრემია - ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაცია“ გაიცემა წელიწადში ერთხელ ღია კონკურსის წესით;

1.2 პრემიის ოდენობა შეადგენს 5000 ლარს;

§2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და კონკურსის პირობები

2.1.კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე:

- ბტუ-ს აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს;
- ბტუ-ს მოწვეულ სპეციალისტს/მკვლევარს/მეცნიერს, რომელიც არ არის აფილირებული საქართველოს არც ერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

2.2. საკონკურსო განაცხადი უნდა წარადგინოს თავად მეცნიერმა/მკვლევარმა;

2.3 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის სახელზე;
- Curriculum Vitae განახლებული ბოლო 3 წლის განმავლობაში ბტუ-ს სახელით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სიით [1,2,3], რომლებიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში. პატენტის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების შემთხვევაში არსებობის შემთხვევაში - მათი დამადასტურებელი დოკუმენტი;

[1] *მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სტატიების, საკონფერენციო თეზისების ჩამონათვალი უნდა დასტურდებოდეს ელექტრონული ბმულების მითითებით;*

[2] *უპირატესობა მიენიჭება იმ სამეცნიერო პუბლიკაციებს, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus, WoS, Erich plus, Index Copernicus, Google Scholar);*

[3] *ე.წ. პრედატორ (PREDATORY JOURNALS) ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები არ მიიღება მხედველობაში, გადამოწმებისათვის იხ. ლინკი https://beallslist.net/*

- სამოტივაციო წერილი;
- კონკურსანტის შეხედულებისამებრ დამატებითი დოკუმენტაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას CV-ის დანართის სახით.

§3. კონკურსზე რეგისტრაციის წესი და საკონკურსო კალენდარი

3.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტი უნდა გამოაგზავნოს ელ.ფოსტაზე: info@btu.edu.ge;

3.2 განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, კონკურსანტის CV და სამოტივაციო წერილი უნდა გაერთიანდეს ერთ PDF ფორმატის ფაილში სათაურით: *კონკურსანტის გვარი_სამეცნიერო პრემია,* ხოლო ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი სათაურით: *კონკურსანტის გვარი_დამატებითი საბუთები.*

3.3 კონკურსის კალენდარი

- საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული წარდგენის ბოლო ვადა 15.05.2026;
- განაცხადების შესაბამისობის დადგენა საკონკურსო მოთხოვნებთან 18-22.05.2026;
- საკონკურსო კომისიის შექმნა და მათთვის განაცხადების დაგზავნა 25-29.05.2026;
- საკონკურსო კომისიის სხდომა 8-12.06.2026;
- გამარჯვებული აპლიკანტების გამოვლენა და დამტკიცება 12.06.2026;
- გამარჯვებული აპლიკანტების დაჯილდოვება - ივნისი

§ 4. საკონკურსო კომისია, განაცხადების შეფასება და ინტერესთა კონფლიქტი

4.1 კონკურსისთვის რეგისტრირებულ განაცხადების შემფასებელ კომისიას ბრძანებით ამტკიცებს ბტუ-ს რექტორი;

4.2 კონკურსზე წარმოდგენილი განაცხადების შემფასებელი კომისიის შემადგენლობა კომპლექტდება ბტუ-ს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე დარგობრივი ექსპერტებისაგან;

4.3 კონკურსზე რეგისტრირებული განაცხადების შეფასებას საკონკურსო კომისია ახდენს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით;

4.4 დაუშვებელია კომისიის წევრი გახდეს პირი, რომელიც:
- არის ამავე კონკურსის მონაწილე,
- არის დაინტერესებული მხარე (გააჩნია მატერიალური, პროფესიული ან პირადი ინტერესი, არის კონკურსში მონაწილეს ნათესავი, კონკურსანტთან შრომით ან სამეცნიერო ურთიერთობაში მყოფი პირი, ან აქვს გაცხადებულად განსხვავებული სამეცნიერო პოზიცია);

4.5 რომელიმე ზემოთჩამოთვლის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს კომისიას;

4.6 საკონკურსო კომისია წარმოდგენილ განაცხადებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამეცნიერო პროდუქტიულობა	ქულა (მინიმუმ 1 - მაქსიმუმ 5)	კომენტარი
(კვლევითი თემატიკის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა, *ბტუ-ის სახელით:* ✓ *გამოქვეყნებული შრომები,* ✓ *ინტელექტუალური საკუთრება,* ✓ *სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა,* *ჯილდოები, პროექტები, სტიპენდიები)*		
აკადემიური კომპეტენციები	ქულა (მინ 1-მაქსიმუმ 3)	კომენტარი
(ბტუ-ის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობა, სასწავლო კურსების მომზადება, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, რეცენზირება, რედაქტირება, საგანმანათლებლო პროექტები)		
მეცნიერების პოპულარიზაცია	ქულა (მინიმუმ 1-მაქსიმუმ 3)	კომენტარი
(დარგის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ბტუ-ის სახელით გამართული საჯარო ლექციების, ვორკშოპების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება)		
ქულათა ჯამი		

4.9 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადს, რომელიც მაღალ ქულას დააგროვებს პირველ კრიტერიუმში. აღნიშნულ კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია.